



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კობალაძე იური გიორგის ძე

კობალაძე იური გიორგის ძე (დ. 22. I. 1949, თბილისი), რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის გენერალ-მაიორი (1995), პუბლიცისტი, პროფესორი. დაამთავრა მოსკოვის საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1972), 1977-84 მუშაობდა ლონდონში სახელმწ. ტელე-რადიო მიმომხილველად; 1984-91 - სახელმწ. უშიშროების კომიტეტის ცენტრ. აპარატში, საგარეო დაზვერვის პირველ მთავარ სამმართველოში. 1991-99 იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის პრესბიუროს უფროსი; 1999-2000 - ИТАР-ТАСС-ის გენ. დირექტორის პირველი მოადგილე; 2006-იდან - რადიოარხ „Эхо Москвы“-ზე გადაცემა „В кругу света“-ს თანაწამყვანი; 2007-10 - კომპანია X5 Retail Group-ის აღმას. დირექტორი კორპორაციულ საკითხებში; 2010-12 - ამავე კომპანიის გამგეობის თავ-რის მრჩეველი; 2012-იდან - შვეიცარიის საინვესტიციო ბანკ UBS-ის კონსულტანტი. ამჟამად კ. საგარეო დაზვერვის სამსახურის გადამდგარი გენერალია. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

**მ. კოვიტიძე**

---